



ოქმი:ო37.37210182

თარიღი:18/01/2021

## ოქმი 23

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2020 წელი, 28 დეკემბერი

ქ. ოზურგეთი

12.00 – 13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია- საკრებულოს თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ :** გ.ღურჯუმელიძე, გ.ჩავლეშვილი,გ.თოიძე, ბ.დოლიძე, ლ.ბიგვავა,  
გ.ჩაგანავა,ტ.აროშიძე,ლ.საჯაია,

ლ.მგელაძე,გ.კილაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია,15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

### დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია**

**გიორგი ჩაგანავა**

თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ ბიუროს წევრებს გააცნო კორექტირებული ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები, აღნიშნა, რომ შენიშვნები და რეკომენდაციები ძირითადად გათვალისწინებულია. სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ განაცხადა, რომ საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს განხილული აქვთ პროექტი, არსებობს დასკვნები. მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა ლ.ბიგვავამ, გ.ჩაგანავამ, ლ.საჯაიამ, გ.კილაძემ განაცხადეს, რომ განიხილეს პროექტი და მხარს უჭერენ მას. მსგავსი განცხადება გააკეთეს საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეებმა: ტ.აროშიძემ, ბ.დოლიძემ, შ.გოგიბერიძემ, გ.ჩავლეშვილმა, ხოლო ლ.მგელაძემ განაცხადა, რომ თუ ბიუჯეტში

არ გაითვალისწინებენ სასწორების შექმნის თანხებს ფრაქცია მხარს არ დაუჭერს ბიუჯეტს.

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესისშესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლელა საჯაია**

**გიორგი ჩაგანავა**

3.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე**

4.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე**

5.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა**

საკითხის განხილვისას დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ მასზე უნდა გაგრძელდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

6.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

## **თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე**

7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

### **მომხსენებელი: დავით დარჩია**

## **თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდება 2021 წლის 7-თებერვლამდე.

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით „ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში“ - მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე“.

### **მომხსენებელი: დავით დარჩია**

## **თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

სამუშაო ჯგუფს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდება 2021 წლის 7-თებერვლამდე.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ განაცხადა, რომ საკრებულოს ყველა მუდმივმოქმედ კომისიამ საკრებულოს აპარატში უნდა წარმოადგინოს 2021 წლის სამუშაო გეგმა. ხოლო, საკრებულოს მომდევნო სხდომა გაიმართება მიმდინარე წლის 30 დეკემბერს, 11.00- საათზე ოზურგეთის ფოლკლორული ცენტრის დარბაზში.

### **გადაწყვიტეს:**

- 1.ბიუროს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული N1,2, 3, 4, 6, 7,8 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში.
2. N5 საკითხზე გაგრძელდეს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.
- 3.საკრებულოს მომდევნო სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 30 დეკემბერს, 11.00- საათზე ოზურგეთის ფოლკლორული ცენტრის დარბაზში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

